ეროვნული ბიბლიოთეკა


**რედაქცია**

მოლინის (აბას-აბატის) მოედანზე, ყორღანოვის სახლებში.

**ხელის-მოწერა**

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

**გაზეთის ფასი**

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# დროება

**გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით**

**განცხადება**

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

**განცხადების ფასი**

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.


## საქართველო

### ქართული თეატრი სოფელში

თფილისში და ქუთაისში ქართული წარმოდგენები ისე შეითვისა ხალხმა, რომ, როცა სცენის მოყვარენი დიდი ხნის განმავლობაში არ თამაშობენ, აქაური საზოგადოება დრტვინვას და საყვედურს იწყებს.

წარმოდგენის მოთაოეებმა გამოცდილებით იციან, რომ, როდესაც ახალს ან ძველს ხეირიანს პიესას თამაშობენ და მასთან კარგი მოთამაშეებიც იღებენ მონაწილეობას, ამ ორი ქალაქის საზოგადოება ბლომათ მოაწყდება თეატრს.

მაგრამ ამაზე უფრო მომეტებული ყურადღების ღირსი ის არის, რომ, არათუ ამ ორ დიდ ქალაქში, პატარა ქალაქებში, დაბებში და თვით სოფლებშიაც თითქო ძალდათ შემოვიდა, თითქო საჭიროებათ შეიქნა ქართული წარმოდგენების გამართვა!

გორში, თელავში, ოზურგეთში, შორაპანში თუმცა, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც იმართება ქართული წარმოდგენები.

წელიწადი არ გავა, მგონია, რომ პატარა ღ. ხონში რომელიმე ქართული პიესა არ წარმოადგინონ.

ახლა სოფლებში: ენისელში ქართული წარმოდგენა, სოფ. ბანძაში, ამას წინათ შექ პირის დრამმა — „შეილოხა" ითამაშეს! სოფ. წევს „სკაპენის ცუღლუტა;" ქვიშხეთში ამ დღეებში ქართული თეატრი გაუმართავთ; სუჯუნას კიდევ „სკაპენის ცუღლუტობა" უთამაშნიათ და სხ. და სხ.

და, როგორც იწერებიან, ქართველობა ყველგან დიდის სიამოვნებით ესწრება ამ წარმოდგენებს, თვით ჩვენი ლატაკი გლეხიც თითო-ოროლა შაურს და ხან აბაზსაც არ ზოგავსო, ოღონდ ნახოს — თუ რა არის ეს „ტრეატრიო."

სასიამოვნო ამ გარემოებაში კიდევ ის არის, რომ იმ ზნეობით სარგებლობას გარდა, რომელიც, უეჭველია, ქართულ თეატრს მოაქვს ჩვენი საზოგადოებისათვის, მატერიალური სარგებლობაც არის აქ: თითქმის ყველგან წარმოდგენის შემოსავალს ან ქართულისავე სცენის სასარგებლოთ სდებენ, ან შკოლისა, ან ძოსწავლე ყმაწვილების სასარგებლოთ; ასე რომ ამ მხრითაც სარგებლობა მოაქვს ქართულ წარმოდგენებს, ამ მხრითაც საზოგადო მნიშვნელობა აქვთ.

მაგრამ ერთი რამ გვაკლია იმისთვის, რომ ხალხს ქართული წარმოდგენები უფრო შევაყვაროთ:

სახალხო პიესები არა გვაქვს.

ორ თუ სამ პიესას გარდა, სხვა თითქმის ყველა გადმოთარგმნილები ანუ გადმოკეთებულები არის; მათში არა სჩანს ქართული ხასიათი, ქართველი თავის ნაციონალურს ფერაფერსა ჰხედავს; საფრანგეთის, რუსის ან ინგლისის ცხოვრებაა მათში გამოხატული, ცხოვრება ჩვენი ხალხისაგან გაუგებარი.

ჩვენი ნიჭიერი მწერლების ვალია, რომ მოსპონ ეს ნაკლულევანება ქართული სცენისა. ამით ისინი კარგ სამსახურს გაუწევენ თვით ჩვენს ხალხსა და ლიტერატურასაც.

ს. მესხი

### დღიური

☐ ჩვენ შევიტყეთ, რომ ორი ახალგაზდა ქართველი, რომელთაგან ერთმა შარშან გამოსცა საინტერესო დღიური: „სამი თვე ოსმალოს საქართველოში," ამ ზაფხულს წასულან ოსმალოს საქართველოს ხალხისა, ძველი ცხოვრების ისტორიული ნაშთებისა და საზოგადოთ ამ [illegible]

☐ გასული კვირის შაბათს თფილისის საზაფხულო თეატრის ზალაში აქაურმა ფრანცუზებმა კონცერტი გამართეს იმ სამხრეთ საფრანგეთის მცხოვრებლების სასარგებლოთ, რომელნიც ასე საშინლად დაზიანდნენ წყალდიდობისაგან. სხვათა შორის, ამ სალამოს იტალიელებმა და სომხებმაც მიიღეს მონაწილეობა: იტალიელები მღეროდნენ და სომხებმა „ძალათ ცოლის შერთვევინება" ითამაშეს. საზოგადოება საკმაოთ დაესწრო, ასე რომ, ხარჯს გარდა, ამ სამადლო საქმისათვის, უეჭველია, უკანასკნელი ოცი თუმანი მაინც დარჩებოდა.

☐ ჩვენ გვითხრეს, რომ ქალაქში შემდგარა პატარა წრე მკერვალი ქალებისა, რომელსაც მუხრანიანთ ხიდთან თ. არჩ. მუხრანსკის სახლში გაუმართავთ საკერავი მაღაზია და რაც აქედამ შემოსავალი იქნება, ქალების განათლებისთვის უნდა გადადვანო. ეს წრე ჯერ-ჯერობით, როგორც ამბობენ, სამი თუ ოთხი ქალისაგან არის შემდგარი; იმედი აქვთ, რომ შემდეგში როგორც თვით წრე, აგრეთვე იმის შემოსავალი იმატებს...

☐ ქიზიყიდამ გვწერენ, რომ ორს [illegible] ნამუშევრის გაფუჭებას და გაზშირებულ ქურდობას — მესამეც დაერთოო: საშინლად გახშირდა სოფლებში სახლების წვაო ასე, რომ ისეთ სოფელს თითქმის ვერ ნახავთო, შიგ — რვა სახლი არ იყოს გადამწვარიო. ამ გახშირებულ ცეცხლს ზოგიერთ,

## ფელეტონი

### ლეონ გამბეტა *)

1868 წელს, ოქტომბრის დამლევს ერთმა რესპუბლიკელმა — ეჟენ ტენომ გამოსცა 1851 წ. 2 დეკემბერს ნაპოლეონ მესამესაგან მოხდენილი სახელმწიფო ცვლილების (Coup d'-État) ისტორია **). წიგნი შეიცავს იმ ისტორიულ ფაქტებს, თუ რა ნაირათ ნაპოლეონმა უღალატა რესპუბლიკას და რა ნაირათ დაჰქლიტა მისი დამცველები. სხვათა შორის, ტენო მკითხველებს აგონებდა ქამთავითარებისა გამო დაივიწყებულს ბოდენს.

ამ წიგნმა აალელვა მთელი პარიჟი და მასთან, რასაკვირველია, საფრანგეთი. თითქმის სამი თვის განმავლობაში მარტო ბოდენზე იყო ლაპარაკი; თუ როგორ შესწირა თავი რესპუბლიკისა და იმისი წყობილების დაცვას, ყველა დემოკრატიული და ლიბერალური გაზეთები ამ კაცზე ლაპარაკობდნენ.

პარიჟელ დემოკრატებმა 2-ს ნოემბერს მის საფლავზე მანიფესტაცია მოახდინეს, ბევრმა საფლავზე სიტყვა წარმოსთქვა, რასაკვირველია, ნაპოლეონის და საფრანგეთის იმპერიის წინააღმდეგ, და ყრილობა დაიშალა რესპუბლიკისგამარჯვების ყვირილით: „Vive la République!" აქვე დასდვეს პირობა, რომ 3-ს დეკემბერს, ბოდენის *) სიკვდილის დღეს, კიდევ მოეხდინათ მანიფესტაცია.

მეორე დღესვე ორმა დემოკრატიულმა გაზეთმა: „Avenir national" და „Reveil"-მა გამართეს ხელის-მოწერა და დაიწყეს ფულის მოგროვება ბოდენის საფლავზე ძეგლის დასადგმელათ. ამ გაზეთებს მიემატა ორიც სხვა: „La Tribune" — პელტანისა და „La Revue politique" — შალმელ-ლაკურის გაზეთები.

ჯერ-ჯეროობით მართებლობა ხმას არ იღებდა; მაგრამ როცა დაინახა, რომ ხელის-მოწერამ და ფულების მოგროვებამ ნამეტანი პოლიტიკური ხასიათი მიიღო, ცოტათი არ იყოს შეშინდა, და 6-ს ნოემბერს ოფიციალურმა (მართებლობის) გაზეთმა გამოაცხადა, რომ 2 ნოემბრის მანიფესტაციის და ფულების მოგროვების შესახებ გამოძიება არის დანიშნული. ამაზედაც არ დაჯერდნენ: მეორე დღესვე „Avenir national"-ის ნომრები დაიჭირეს; 9-ს ამავე გაზეთის ნომრები კიდევ დაიჭირეს.

მაგრამ გაზეთები ამ მოქმედებამ ვერ შეაშინა და რაც უფრო ფიცხლათ ეპყრობოდა მმართებლობა, უფრო ბევრ თანამგრძნობლებს შოულობდნენ: არ გასულა ერთი კვირაც, რომ სხვა გაზეთებმაც ფულების მოსაგროვებლათ ხელის-მოწერა გამართეს, მაგალითებ: „Siècle", Temps", „Journal de Paris", „l'Electeur" და ბევრმა სხვებმაც როგორც პარიჟში, აგრეთვე პროვინციებშიაც.

მმართებლობა ამ ნაირმა მათმა მოქმედებამ სულ მოთმინებიდგან გამოიყვანა, და 13-ს ნოემბერს ალფონს პეირა რედაქტორი „Avenir national"-ის, დელკლუზი — „Reveil"-ის, შალმელ-ლაკური — „Revue politique"-ის და დიური — „Tribune"-ის მისცა სამართალში, როგორც ქვეყნის ამშფოთებელნი და კანონიერი მმართებლობის წინაამდეგნი. ამათ, რასაკვირელია, რაც უწარჩინებულესი ადვოკატები იყვნენ რესპუბლიკელ პარტიაში, ისინი ამოარჩიეს, მაგალითებ ემანუელ არაგო, კრემიე, გამბეტა და სხვები.

საზოგადოთ ერთი საძაგელი ჩვეულება სჭირდათ საფრანგეთის იმპერიის ჩინოვნიკებს და სასამართლოებს: როცა რომელიმე გამოჩენილი რესპუბლიკელი ადვოკატი, როგორც მაგალითად ჟულ ფავრი, არაგო, ვინმეს დამცველათ წარმოდგებოდნენ სამსაჯულოებში, ყოველთვის მათ კლიენტებს ორჯელ უფრო სასტიკათ სჯიდნენ, ვინემ სხვებს. ეს თითქო ყოველთვის მიუცილებელი იყო, რადგანაც ეგენი სიმართლის სახელით ხელთმძლავრობდნენ ყოველთვის დაცვის

*) „დროება" № 87.

**) 1848 წ. ნაპოლეონი ბონაპარტე იყო ამორჩეული საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტათ და შემდეგ, როცა რესპუბლიკას უღალატა და სახელმწიფო ცვლილება მოახდინა, გახდა საფრანგეთის იმპერატორათ.

*) ბოდენი მოკლეს ბარიკადაზე 3-ს დეკემბერს 1851 წ.

ბოროტ და უღმერთო კაცებს აბრალებენ. ჩვენს კორრესპონდენტს, სხვათა შორის, შემდეგი შემთხვევა მოჰყავს: ერთს ოჯახიშვილს მშვენიერი ქალი ჰყვანდა, რომელსაც ერთი ქურდი და ავაზაკი კაცი სთხოვდა; მაგრამ მამამ არ მისცა. ავაზაკი დაემუქრა თურმე: „მაცა, მე შენ თუ ვერ განაგებინო ჩემი შურისძიებაო!" და მართლაც, მოკლე ხანში, ენახოთ, ამ კაცის სახლს ცეცხლი წაუკიდა და, რადგან აქ სახლები ჩალით არის გადახურული და ერთმანეთზე ახლოს დგანან, ამ სახლთან ექვსი სხვა კაცის სახლიც გადაწვაო!...

□ გურიის ერთს სოფელს ბომარეთში ამ დროს დიდი დღესასწაული იციან — ბომართობა. ჩვენ გვწერენ, რომ წელს იქ ვიღაცა კეთილ კაცს ბევრი ქართული წიგნები ჩაუტანია და ზოგიერთებს მუქთად ურიგებდაო. „განსაკუთრებით პატარა ბიჭებს ცხადათ ეტყობოდათ სიამოვნება, როდესაც რომელსამე პატარა ქართულ წიგნს მიიღებდნენო",—ამ სიტყვებით გვწერს კორრესპონდენტი.

□ გურიიდამვე გვატყობინებენ, რომ ამ უკანასკნელ დღეებში აქ საშინლად გავრცელდა მდაბიო ხალხში მუცელათ და ბევრსა ხოცავსო. აქ კი ამ ავათმყოფობას და საზოგადოთ ხალხის ჯანმთელობას მადგენ ყურადღებას არ აქცევენო.

დღეიმე დღის წინათ სოფ. ქვიშხეთში, სურამის ახლოს, ქართული წარმოდგენა ყოფილა იქაური საჩაფხულო შკოლის სასარგებლოთ. წარმოუდგენიათ „ძალათ ექიმი" და „უჩინ-მაჩინის ქუდი". ამბობენ, ხარჯს გარდა, ამ წარმოდგენიდამ, რომლის

თაისნობა მლენე ყიფიანისას ეკისრინა, შკოლას ექვს თუმნამდი დარჩენია.

## „დროების" კორრესპონდენცია

აფხაზეთიდამ, 1 აგვისტოს

მოგეხსენებათ, რომ აფხაზეთი მოშორდა საქართველოს სხვა და სხვა უბედური პოლიტიკური ვითარების დროს. მას შემდეგ იმოდენად იმოქმედა მათზე ოსმალოს გავლენამ, რომ მალ-მალ წლების ხალხმა დაუტევა ქრისტიანობის წესი და შეუდგა მაჰმადის რჯულს; როდესაც მთავარი შეიქნა მაჰმადის მოწაფე, რასაკვირველია, თავად-აზნაურობამაც მის მიბაძვით შემოუშვეს მოლები და მათ, წინააღმდეგ მაჰმადის მცნებისა, სადაც „ყორანში" ცხადათ ასწავლის მაჰმადი, რომ „თუმცა არ შეისმინონ ჩემი მცნება, მახვილით შეაგონონ ხალხსო," მოლებმა ნახეს საჭიროთ, რომ ნებაყოფლობით შეგონებას უფრო ღრმა ძირი ექნება, და შეაგონეს ნელ-ნელა სხვა და სხვა საჩუქრების შემწეობით.

ამ ხერხმა იმოდენათ იმოქმედა აფხაზეთზე, რომ შემდეგში დაუტევეს სრულიად ქრისტეს სარწმუნოება. მაგრამ აქა-იქ კიდევ ბჟუტავდა ქრისტიანობის ნათელი აფხაზეთში.

შემდეგ, როდესაც რუსეთის უძლეველმა ორ-თავიანმა არწივმა ჩრდილოეთში გაშალა შემმართებელი თვისი ფრთები და გადმოაფარა ძაე- [illegible] —აფხაზნიც შეიქნენ მრავალნი ქრისტიანენი. მთავარი თავის გვარით გაქრისტიანდა და თავად-აზნაურნიც უმეტესი ნაწილი. გლეხები შეუდგნენ ისევ ქრისტეს სარწმუნოებას, და სრულიად გაქრისტიანდებოდნენ, რომ ბატონებისა არ ჰშინებოდათ; რომელიც მებატონე მაჰმადიანი იყო, მისი ყმებიც იმავე რჯულზე დარჩნენ....

ყირიმის ომის დროს სრულიად ამოიფხვრა ქრისტიანობა აფხაზეთში. მაგრამ ისეთი მაჰმადიანები კი შეიქნენ, რომ სრულებით არ ესმოდათ მაჰმადის სარწმუნოება: ალარც მაჰმადიანებში იყვნენ და ალარც ქრისტიანებში.

ხალხი დარჩა შუა გზაზე; უფრო შეიქმნენ ურჯულო, ვიდრე რომელიმე რჯულის აღმასრულებელნი.

ამ დროს, რასაკვირველია, საჭირო იყო რამოდენიმე ნასწავლი მღვდლები, რომ ექადაგნათ ხალხისათვის ქრისტეს სარწმუნოების ძალა. ამ საქმეს შაუდგა აფხაზეთის მაშინდელი ეპისკოპოსი ალექსანდრე და ნელ-ნელა იწყო გავრცელება ქრისტიანობისა, და მცირე ოდენი კიდეც გააქრისტიანა, როგორც მოითხოვს ქრისტეს რჯული: ქადაგებითა და სახარების სიტყვით. ცოტა ხანს შემდეგ ყოვლად უსამღვდელოესი ეპისკოპოზი ალექსანდრე დაინიშნა საქართველოს ეიკარნით და წამოვიდა აფხაზეთიდამ 1868 წელს, ივნისის თვეში.

შემდეგ ამისა აფხაზეთში მოისპო საკუთარი ეპარხია; ეპისკოპოსმა გადასცა აფხაზეთის საეკკლესიო ფული 40,000 მანეთი, რომელიც უნდა მოხმარებოდა ეკკლესიების ასაშენებლათ.

აფხაზი

**უმორჩილესად ვსთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომელთაც შარშანდელი ანუ წლევანდელი გაზეთის ფული ჯერ არ შემოუტანიათ, რაც შეიძლება მალე შემოიტანონ.**

ნახევარი წლის ხელის-მოწერა
„დროებაზე"
შეიძლება: თფილისში, რედაქციის კანტორაში (ადრესი გაზეთის სათაურში ნახეთ) და გარეშე ქალაქებში — „დროების" აგენტებთან. ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (ე. ი. 1 იულისიდამ ვიდრე 1876 წლის 1 იანვრამდი) გაგზავნით და გაუგზავნელად—4 მან. და 50 კაპ.

## რუსეთი

✠ ეკატერინოსლავის გუბერნიის ერობას, მიუღია რა მხედველობაში, რომ ამ გუბერნიის ხალხს წელს ძალიან ცუდი მოსავალი ჰქონდა, გარდაუწყვეტია, რომ საერო ფულებიდამ 50,000 მანეთი გადავდვათ იმ სოფლებში დასარიგებლად, რომელთაც უფრო ეჭირებათო.

✠ ამბობენ, ვითომც პეტერბურღში ცალკე კომიტეტი შემდგარიყოს, რომელიც თუ ხელის-მოწერითა, თუ თეატრების, კონცერტების და სხვა გვარი საშუალების შემწეობით ეცდებაო, რომ ფულები მოაგროვოს იმ სოფლებისა და ქალაქების მცხოვრებლებისათვის, რომელნიც ცეცხლისაგან დაზიანებულები იქნე-

დროს და ვინ არ იცის, თუ რა ნაირათ წინააღმდეგი იყო ნაპოლეონის მმართებლობა ამ გვარი პრინციპებისა. ამნაირათვე მოუვიდა ცნობაც გამბეტას კლიენტსაც.

გამბეტა იყო დელკლუზის ექილი. როგორც ზემოთ არის ნათქვამი, გამბეტას ჯერ-ჯერობით გარდა იმ წრიწრისა, რომელსაც შეადგენდა სასამართლო და ახალ-გაზრდობა, საზოგადოება არ იცნობდა; ამ პირველ მის გამოსვლას თითქმის პოლიტიკურ ასპარეზზე მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მთელი საფრანგეთის ყურადღება მიქცეული იყო ამ საქმის მსჯელობაზე, და ყველამ კარგათ იცოდა, რომ არა თუ მარტო სიმართლის მტკიცელობაზე იქნებოდა მსჯელობა, არამედ უნდა შეტაკებულიყო ორი წინააღმდეგი პრინციპი — საფრანგეთის ცეზარიზმი და რესპუბლიკა.

პირველი სიტყვიდანვე, როცა გამბეტამ დაიწყო ლაპარაკი, მთელს ზალას ტანში ჟრუანტელმა გაურბინა. შემდეგ მირაბოს, დანტონისა და რობესპიერისა *) ეს იყო პირველი ორატორი, რომლისაგანაც საზოგადოებას ესმოდა ამნაირი ფიცხელი და უშიშარი სიტყვები. გამბეტას დელკლუზი სრულიად დაავიწყდა; ის მისდგა ნაპოლეონის მმართებლობას და გამოაშკარავა თუ რა ნაირათ გარეცხა მან საზოგადოება და ქვეყანა და რა ნაირათ წაართვა მას უკანასკნელი სხვ თავისუფლებისა და პატიოსნებისა.

მსმენელები აღტაცებას ვერ იკავებდნენ; რამდენჯერმე ტაშის დაკვრაც მოინდომეს, მაგრამ თავმჯდომარე აშინებდა, რომ ყველას ზალიდან გავყრითო. გამბეტასათვისაც წინადადება სიტყვის მოსპობა, მაგრამ ამან ეს ვერ შეაშინა, და აი ამ სიტყვებით გაათავა თავისი დაცვა:

„მაიგონეთ, მესამე ნაპოლეონის მმართებლობამ ჩვიდმეტი წლისწადი, რაც თქვენ „ხართ უსაფუძლოთ, უკანონოთ სრულ „ბატონი საფრანგეთისა! ხომ ხედავთ, რომ „თქვენგან ჩვენ არ ვთხოულობთ ანგარიშს — „თუ რა უყავით მის ხაზინას, თუ სად არის „მისი პატიოსნება და სიმამაცე; — მაგრამ „თქვენი მოქმედების უკეთესი დამუხტველი „ისევ თქვენი ტანჯვაა, მით უფრო, რომ „ამის გაბმლა თქვენ ვერ გაგიბედნიათ!... „ჩვენ გვინდა ვიდღესასწაულოთ, ჩვენ გვინ„და ჩავიგდოთ საფრანგეთის სადღესასწა„ულო რიცხვებში 2 დეკემბერი და გავ„დოთ საუკეთესო სახელით მოსახსენებე„ლად!... ამდენ ხანს ყველა გადამდგარ მარ„თებლობას აქვს მედიდურება თავის გამა„ღების დღის მოხსენებისა, როგორც მა„გალითათ: 14-ივლისს, 10-აგვისტოს, „24-თებერვალს, — მხოლოდ ორი: 18 „ბრიუმერისა და 2-დეკემბრის *) დღესასწა„ულობა ვერ გაგიბედნიათ, რადგანაც დარ„წმუნებული ხართ, რომ მთელი ქვეყანა „თქვენი წინააღმდეგი იქნება! ის დღე, რო„მელსაც თქვენ უარს ჰყოფთ, რა გინ„დათ, ჩვენ რომ ვიდღესასწაულოთ? ჩვენ „ვიდღესასწაულებთ გარდუვალი, ყოველ „წელიწადს, — ეს იქნება მოხსენება ჩვენი „მკვდრებისა, — ვიდღესასწაულებთ იმ დღემ„დის, მინამ საფრანგეთი არ გახდება სრულ „ბატონათ, და თქვენ არ დაგიდებთ ნაციონა„ლური მონანიება თავისუფლებისა, თანასწო„რობისა და ძმობის სახელით!"

ამ ნაირი ფიცხელი და მხნე სიტყვის წარმოთქმას დიდი გაბედულობა უნდოდა მაშინ, როდესაც ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ არა თუ საფრანგეთისა, არამედ მთელი ევროპის ბედი ნაპოლეონზე იყო დამოკიდებული.

ამ დღეს გამბეტამ მოიპოვა წრელი ნაპოლეონს და დასცა ზარი მის უზურპატორულ მართებლობას.

გამბეტამ ერთბაშად მიიპყრო სრული ყურადღება საფრანგეთისა და აღტაცებული სიყვარული თანამემამულეთა. დღეს გახდა ის ლიდერათ დემოკრატიულ პარტიისა; დღეს მიმავალი საფრანგეთის რესპუბლიკამ იშოვა მძლავრი, ენერგიული და უშიშარი დამცველი.

თქმა არ უნდა, რომ ყველა ლიბერალურმა გაზეთებმა დაბეჭდა გამბეტასაგან წარმოთქმული სიტყვა, რომელმაც ამნაირად მთელი საფრანგეთი აალაპარაკა.

დ. დ.

(გაგრძელება)

*) ესენი იყვნენ პირველი რესპუბლიკის გამოჩენილი ორატორები, და ათემის რესპუბლიკის დამაარსებელნი. პირველს რესპუბლიკას საფრანგეთში სული ედგა თორმეტ წელიწადი (1792—1804).

*) 18 ბრიუმერს 1804 პირველმა ნაპოლეონმა დაარღვია პირველი რესპუბლიკის და გახდა იმპერატორათ; 2 დეკემბერს მესამე ნაპოლეონმა მეორე რესპუბლიკას უღალატა.

ბიანო. კომიტეტში ყველა მსურველს შეუძლიან მონაწილეობის მიღება, ვისაც კი უნდა რითიმე ამ კეთილ საქმეს დაეხმაროს.

⚹ სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ ყველა სავაჟო და საქალებო სასწავლებელში, რომელნიც კი ამ სამინისტროს ექვემდებარებიან, ამავე სასწავლებლების ხარჯით, შაგირდებისათვის ბიბლიოთეკა უნდა გაიხსნასო.

⚹ „ბირჟის უწყებებში“ გამოცხადებულია ნახევარი წლის ანგარიში იმ უფასო საკერავი სახლების მოქმედებისა, რომელიც პეტერბურგის პოლიციმეისტრის თაოსნობით არის გახსნილი. ანგარიშიდამ სჩანს, რომ ამ წლის იანვარში შვიდ ამისთანა საკერავს სახლში (მასტერსკოიში) 3,840 ღარიბი ქალი მუშაობდა მუქთად; შემდეგ თვეებში მკერავალი-ქალების რიცხვი თან-და-თან მატულობდაო, ასე რომ ივნისში — 4,203 ქალი მუშაობდაო.

⚹ ყაზანის გაზეთში იწერებიან, რომ ქ. რიბინსკში ხოლერა გაჩენილა. მიზეზად, სხვათა შორის, ის მოჰყავთ, რომ ხალხი დაურიდებელად სჭამს ბევრს ხილსა და წვანილსაო.

# უცხო ქვეყნები

**საფრანგეთი.** რადგანაც ნაციონალურ კრების სხდომები ამ ჟამად დროებით შეწყვეტილია, ამის გამო პარიჟის გაზეთები ძალა-უნებურად სხვა საზოგადო მოვლენებს აქცევენ ყურადღებასა.

ამ მოვლენებში უმთავრესი ადგილი ახლა გეოგრაფიულ კონგრესს უჭირავს, რომელიც 1 აგვისტოს გახსნილა პარიჟში. კონგრესის თავსმჯდომარედ არჩეულია ფრანცუზი ადმირალი რონსიერ-ლენური. პირველს სხდომაზე მარშალი მაკ-მაჰონი, მინისტრები, ბევრი წევრნი ნაციონალურ კრებისა და წარმომადგენელნი (ელჩნი) უცხო ქვეყნებისა დასწრებიან.

სხდომა გახსნილა რუელენსის სიტყვით, რომელიც პირველი (ანტვერპენის—1868 წ.) გეოგრაფიული კონგრესსის დამაარსებელია. იმის შემდეგ თვით პრეზიდენტს წარმოუთქვამს სიტყვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ გეოგრაფიულ მეცნიერებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ხალხის წარმატებასა და სიმდიდრეშიო. თავის შესხმა ამან შემდეგი სიტყვებით გაათავა: „მუდამ მწყალობელი და შურის-მეძიებელი ბანგება არასოდეს არ მიატოვებს საფრანგეთს. ის იქნება ჩვენი მფარველი ყოველს კეთილს განზრახვაში და საქმეში.“

— თუმცა საფრანგეთის ოფიციალურს გაზეთებში ბევრს ჰყვიროდნენ იმ შეთქმულობაზე, რომელიც ვითომ ლიონში აღმოაჩინეს, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ ამ შეთქმულობას სრულებითაც ისეთი საშიში მიზანი არ ჰქონია, როგორც ამტკიცებდნენ. აღმოჩნდა, რომ ამ საზოგადოების განზრახვა მხოლოთ ის ყოფილა, რომ რა საშუალებითაც შეიძლებოდა რესპუბლიკა დაეცვათ საფრანგეთში. უმთავრეს მონაწილეება ამ საზოგადოებისას ბონაპარტისტებისაგან შემდგარმა სასამართლოებმა 50 ფრანკი ჯარიმა და სამი თვით დატუსაღება გარდაუწყვიტა.

**ოსმალეთი.** უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, რომ ბერცოგოვინის აჯანყებულებს სერბიისა და ჩერნოგორიის პატრიოტები აქეზებენო; ისინი იდუმალად დაიარებიან ხალხში და ავრცელებენო აზრს, რომ ოღონდ მარჯვეთ იყავით, ჩვენც დაგეხმარებითო, ბოსნიასაც თქვენი მხარე უჭირავსო და, როცა ოსმალოს ულლიდამ გავთავისუფლდებით, ცალკე სლავიანურ სახელმწიფოს შევადგენთო. ბერცოგოვინის ხალხში გავრცელებულია თურმე დაბეჭდილი პროკლამაცია, რომელშიაც ამ გვარი წაქეზებით, და იმედებით ცეცხლს უკიდებენ თურმე უიმისოთაც გაბრაზებულ გერცოგოვინელებს.

**ინგლისი.** ლონდონის გაიდ-პარკში ამას წინათ მიტინგი (ხალხის ყრილობა) ყოფილა, რომელზედაც, სხვათა შორის გადაუწყვეტიათ, მთავრობას ვსთხოვოთო, რომ ირლანდიის პატრიოტები (ფენიები) გაათავისუფლონ საპყრობილეებიდამაო.

-- ივლისის 23 (აგვისტოს 4) ლონდონის ქალაქის რატუშაში მინისტრების სადილი ყოფილა, რომელზედაც ინგლისის ახლანდელ პირველ მინისტრს დიზრაელის, სხვათა შორის, უთქვამს, რომ ევროპა ისეთს მდგომარეობაში არისო ამჟამად, რომ იმის მშვიდობიანობის მოსპობას არავითარი შემთხვევა არ ემუქრებაო.

# ქრონიკა

33

## დასკვნა ქართველი ხალხის ცხოვრების პირველ პერიოდში მომხდარ ისტორიული შემთხვევებისა

—

9) მე-XIII საუკუნეში ქ. დ. წინ ქართველი ხალხი, ზოგი ისტორიკოსების აზრით, სომხურს ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ რომ შემოიკრიბა საქართველოში მრავალი ხალხები, იმათი სომხური ენა გაირყვნა, აირია სხვა და სხვა ენების სიტყვებით, და ამისათვის ქართველებმა შეადგინეს საკუთარი ქართული ენაო: „დაიპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთა, რამეთუ ცოლქმრობისათვის არ უჩნდათ ნათესაობა და ყოველსა სულიერსა ჰსჭამდეს; საფლავი არა იყო, მკვდარსა ჰსჭამდეს,“ ამბობს „ქარ. ცხოვრება“ მე-25 გვერდზე. ამ გვარის ჰაზრის დასამტკიცებლად ვახუშტის მოჰყავს ერთი ანდაზა, რომელიც ქართველებში დარჩენილა: „კარსნელთა მმართებსთო კოდმანელთა ხუთი მკვდარი.“ ეს ანდაზა ვითომც იმას ამტკიცებდეს, რომ კოდმანელებს კარსნელებისათვის შესაჭმელად ესესხებინოთ ხუთი მკვდარი და კარსნელებს დღევანდლამდე დარჩენოდეთ ეს ვალი გადასახდელად. მაგრამ ამ გვარი ჰაზრი მე არა მჯერა. ქართველ ხალხს არაოდეს მკვდარი არ უჭამნია. ვისაც უნდა რომ ამაში დარწმუნდეს, წაიკითხოს თეიმურაზ ბატონიშვილის ისტორიაში 49 კაბადონიდგან მოკიდებული ვიდრე 58 გვერდამდე. მხოლოდ ნამდვილია ისა, რომ ქართველთა ერის თემებს ყველას არ უმარხავს თავის მკვდრები, არამედ ზოგიერთნი მოხევენი თავის მკვდრებს სტოვებდნენ უდაბურს ადგილას დაუმარხავად ნადირისა და მფრინველების შესაჭმელად. ეს ჩვეულება ოსებს, სვანებს და აფხაზებს ამ მახლობელს დრომდე ჰქონიათ.

10) ქვეყანაზე იმისთანა ველური ხალხი არ იქნება, რომ ღმერთი არ იცოდეს. ყოველი კაცი, რაგინდ ურწმუნო იყოს, მაინც და მაინც თავის გულის სიღრმეში გაალმერთებს რაიმე უზენაესს არსებას, შემოფარგლავს იმას რაიმე ნაკვთით და ასრე თაყვანსა სცემს ღმერთს.

კაცის ბუნებაში ამ ჩანერგული ჰაზრისა მებრ ყველა ხალხს თავისი ღმერთი ჰყავს და ამისათვის ამ ძველს დროში ღმერთები ჰყვანდათ აგრეთვე ქართველებსაცა. პირველად ისინი თაყვანსა სცემდნენ ერთს ღმერთს; მერმე დაუწყეს თაყვანის ცემა ქართლოსის საფლავს და როცა ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ აზონი გახდა მმართველად, აღმართა კიდევ ორი ღმერთი: გაცი და გაიმი. გაცი იყო ოქროსაგან ჩამოსხმული, გაიმი ვერცხლისაგან. ასრე ამბობს ვახუშტი. გაცი არის ღმერთი ცხენოსანი ჯარისა. გაიმი ანუ გაიანე იყო ქართლოსის ცოლი, რომელსაც ქართველები ბავშვებს სხვერპლად სწირავდნენ. მაგრამ თეიმურაზ ბატონიშვილი თავის ისტორიის 56 გვერდზე ასრე ამბობს: „ჰვალად ესეცა წერილ არს, ვითარმედ დაუკვლიდესო, რეცა მსხვერპლად კერპთა ქართლოსიანნი ძეთა და ასულთა თვისთა: ესეცა არ არს ჭეშმარიტ, ვინადგან უძველესნი ერნი ქართლოსიანთა არათუ ძეთა და ასულთა დაუკვლიდეს, არამედ პირველსა ჟამსა მხოლოდ შესაწირავი მათი იყო კერპთა მიმართ მფრინველთაგან წმინდა, გარდა ქათმისა, ხილნი ფერად-ფერადნი, ახალნი და ძველნი; თაფლნი ახალნი გარდა უმდინარნი გოლეულთა, გამტკიცული პურნი შოთად გამომცხვარი ფრიად წმინდათაგან იფქლთა, რომელსაცა სახელის დებ, მისვე არმაზ ღუთად საგონებელსა აქვნდა. შოთთა არს არმაზ ღმერთისა სახელი, ხოლო შოთი პურისა მისდამი შეწირულისა: რეცა იგი არს სახე კაცისა მკლავისა კაცისა, რომელსაცა მოცემისათვის მკლავისა ძრიელებისა და ხმლისა მკვეთელობისათვის შესწირვიდეს ღმერთთა (ესე გვართა პურთა აწცა აცხობენ ფრიად წმინდისაგან იფქლისა, სპეტაკსა და უკეთესსა, რომელსაცა სახელის დება აწცა იგივე აქვს ძველი და უწოდებენ შოთსა) შესწირვიდეს ღვინოსა ახალსაცა და ძველსაცა, ალუნთებდეს სანთელთა დიდ-დიდითა შთამოსხმულთა ცვილთაგან (ესე იგი წმინდა სანთელს) უკმევდეს წმიდათა და ფრიად სურნელთა საკმეველთა და შეამკობდეს ფრიად ფერადითა ყვავილებით, ძოხათა და საცხოვართა არა დაუკვლიდეს პირველი, არამედ შემდგომად.“

ყველა ამ შეწირულს ხალხი ხელს არ ახლებდა, იქვე სტოვებდა და გამვლელ-გამომვლელი, ვინც კი ნახავდა ისა ჰჭამდა. ეს ჩვეულება მთიულს ხალხებში დღესაც არის დარჩენილი

ყველა ამაების შემდეგ 333 წელს საქართველო დაიპყრო ალექსანდრე მაკედონელმა, და დააყენა მართველად მიტრიდატი იბერიელი, რომელმაც იბატონა 317 წლამდე. ამას შემდეგ საქართველოს მმართველად გახდა აზონი ანუ პაზონი და 316 წელს ის რომ მოკვდა, საქართველოს მეფედ გახდა ფარნავაზი, მოიშალა ძველებური მამასახლისებრივი მართველობა, დაიწყო ახალი მოქალაქობრივი ცხოვრების წესები და მეორე პერიოდი ქართველი ერის ცხოვრებაში, რისაგამო ამ მამასახლისობის პერიოდს ჩვენ ახლა ფარნავაზის გამეფებით დავაბოლოვებთ.

Ინგილო ჯანაშვილი

# ნარევი

ზოგიერთს უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ ვითომც საფრანგეთის მოღალატე ნამარშლევს ბაზენს დანიის მმართებლობისათვის შუამდგომლობა ეთხოვოს, რომ რუსეთმა სამსახურში მიმიღოსო. ამბობენ, რომ ჩვენს მმართებლობას უარი შეუთვლია.

* * *

პეტერბურღში „ცხენოსნების საზოგადოება“ შემდგარა, რომლის მიზანი იქნება, რომ ცხენზე ჯდომის სიყვარული გაავრცელოს რუსეთში; აგრეთვე რაც შეიძლება, ღონისძიება იხმაროს, რომ კარგი ცხენები და იმის მომვლელები გაზარდოს.

* * *

„ოდესსის მოამბის“ სიტყვით, ამ მოკლე ხანში ოდესსის რკინის გზის გამგეობა აპირებსო, რომ ოდესსიდამ შვეიცარიაში და აღმოსავლეთ-სამხრეთ საფრანგეთში მოგზაურებისათვის პირ-და-პირი გზა გამართოსო.

* * *

ერთი შოტლანდიელი მცხოვრები გვწერს, რომ თუთხმეტი წლის დაი მყავსო, რომელიც თუმცა არც მუნჯია, არც ყრუო, მაგრამ თავის დღეში მამისათვის ხმა არ გაუციაო. სხვებს ყველას ელაპარაკება რაზედაც გნებავთო, მაგრამ მამას კი არასოდესო. თუ რასმეს უბრძანებს მამა, ყველაფერს აასრულებს, ყველაფერში ემორჩილება, მხოლოთ ხმა-ამოუღებლადო. ვცდილობთ ამის მიზეზი შევიტყოთო, მაგრამ ქალი ამ საგანზე არაფერს არ ამბობსო.

* * *

ნიუ-იორკში მომკვდარა ანდრიუ ჯონსონი, რომელიც ნეგრების განმათავისუფლებელის ლინკოლნის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკის პრეზიდენტად იყო ამორჩეული.

* * *

ერთს პოლშელ ფოტოგრაფს ისეთი საშუალება მოუგონია, რომლის შემწეობითაც რა გამომეტყველებაც ჰქონდეს, იმას გამოსახავს თურმე ყოველი კაცის ფოტოგრაფიულ სურათის თვალებში.

* * *

ჰოლლანდიის კოროლი შვეიცარიის ერთს პატარა ქალაქში — მონტროში ცხოვრობს ამ ჟამად. იმასა და მონტროს ქალაქის გამგეობას შუა უკმაყოფილება მომხდარა, როგორც ამბობენ, იმისთვის, რომ კოროლი როგორღაც სხვა ნაირად აცვამს თურმე და ისე ეჩვენება ხალხსაო. ვაადტის კანტონის მთავრობას შენიშვნა მიუცია კოროლისთვის ამის თაობაზე, მაგრამ ამას უპასუხნია, რომ ჩემს სახლში როგორც მინდა, ისე ჩავიცვამო, ვის რა დავა აქვსო. ეს საქმე ახლა შვეიცარიის სახელმწიფო რჩევამდი მისულა.

* * *

ოსმალოს მთავრობას განკარგულება გამოუცია, რომლის ძალითაც დღეის შემდეგ სახელმწიფო ხარჯით არცერთი ოსმალო არ გაიგზავნება საზღვარ გარეთ განათლების მისაღებათაო, რადგან შინ რომ ბრუნდებიან, ისეთს ზნეს იჭერენ და ისეთის ჰაზრ..ხანი ჩამოდიანო, რომ მერე ჩვენს ქვეყანას ველარ გამოდგომიანო.

* * *

ბარსელონაში (ესპანიაში) ჯალადი მომკვდარა ამას წინათ და იმის ადგილის მსურველი 500 კაცი გამოჩენილა!

* * *

# სავაჭრო

△ კავკასიის სამხედრო უწყებისაგან გამოცხადებულია დაწვრილებითი სია პროვიანტისა, რომელიც მომავალი 1876 წლისთვის უნდა დამზადდეს კავკასიის სხვა და სხვა ქალაქებში და სიმაგრეებში, სადაც კი ჯარებია დაყენებული. დაწვრილებითი პირობების შეტყობა ადგილობრივს სამხედრო სამმართველოებში შეიძლება და აგრეთვე „კავკაზში“ დაბეჭდილის განცხადებით.

---

△ კავკაზიის მაზრის საინჟენერო სამმართველო გამოიწვევს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით შემდეგი მუშაობა ვლადიკავკაზში: შეკეთება ტენგინის პოლკის ყაზარმებისა, აშენება ახალის ერთი ეტაჟიანი ფლიგელისა ლაბორატორიისათვის და ზოგი სხვა წვრილმალი მუშაობა, რომლისთვისაც დანიშნულია 12,636 და 89 კაპ.

ვაჭრობა იქნება თფილისში ინჟენერის სამმართველოში აგვისტოს 11-ს.

---

△ იგივე ინჟენერის სამმართველო აცხადებს, რომ აპშერონის პოლკისათვის უნდა აშენდეს იშკარტში: აბანო — 5,280 მანეთად და სამლოცველი მკვდრებისათვის — 3,523 მანეთად.

ვაჭრობა დანიშნულია თფილისში აგვისტოს 12-ს.

---

△ იგივე ინჟენერის სამმართველო გამოიწვევს მსურველებს შემდეგი მუშაობის იჯარით მისაღებელად: კუსარაში უნდა დახურონ ახალის ჟესტის სახურავით ორი ყაზარმა, რომელშიაც შირვანის პოლკი დგას. ამ მუშაობისთვის 16,060 მანეთი და 96 კაპეიკია დანიშნული.

ვაჭრობა იქნება თფილისში აგვისტოს 8-ს ინჟენერის სამმართველოს სადგომში.

---

△ მომავალი სექტემბრის 8-ს თფილისის გუბერნიის სამმართველოში დანიშნულია ვაჭრობა; გაისყიდება 1) ორთაჭალის ორი სახელმწიფო ბაღი და 2) გორში ერთი სახელმწიფო დუქანი.

---

△ კავკასიის სამხედრო მაზრის ინჟენერის სამმართველო გამოიწვევს მსურველთა, რათა იკისრონ იჯარით აღება ალექსანდროპოლის ციხეში ზოგიერთი მუშაობისათვის, რომლისთვისაც დანიშნულია 61,066 მანეთი.

ვაჭრობა იქნება თფილისში ამ აგვისტოს 22-ს.

---

△ გზის-მკეთებელი კამიტეტი (Строительно-дорожный комитетъ) გამოიხმობს მსურველთა, რათა იკისრონ იჯარით მოტანა ქვიშისა და დამტვრეული ქვისა სამი წლის განმავალობაში, 1876 წლის 1 იანვრიდამვიდრე 1879 წლის იანვრამდი რეენტისათვის თფილისიდამ ერმოვნამდი შოსსეს გზისა და ალექსანდროპოლის გზის რტოთი დელიჟნიდამ ბამზაჩემინამდი, ხოლო 1877 და 1878 წლებში ბამზაჩემინიდამ კარაკლისამდი. მთელი გზა სამ ნაწილად არის გაყოფილი: 1) თფილისიდამ ნოვო-აქსტაფის სტანციამდი, 2) ნოვო-აქსტაფის სტანციიდამ დელიჟნით კარაკლისამდი და 3) დელეჟნიდამ ერევნამდი.

პირველ უჩასტკაში საჭიროა: ა) თფილისიდამ სალანლუღამდი ყოველ წელიწადს 144,6 კუბიკური ოთხ-კუთხი) საჟენი სჩებენი (დამტვრეული ქვა) და სამი წლის განმავალობაში 433,8 საჟ. — თითო საჟენი 16 მანეთად, სულ 6,940 მან. და 80 კაპ. ბ) სალანლუღიდამ ნოვო-აქსტაფამდი ყოველ წელიწადს 546,96 კუბიკ. საჟენი, სულ 1640,88 საჟ. და თითო საჟენი—22 მან., სულ 36,099 მანეთის და 36 კაპეიკის.

მეორე უჩასტკაში: ნოვო-აქტაფიდამ დელიჟნამდი წელიწადში 379 კუბიკ. საჟ., სულ 1,137 საჟ; თითო საჟენი—14 მან. სულ 15,926 მანეთის და 379 საჟ. ქვიშა, თითო საჟენი 7 მანეთად. 2) დელიჟნიდამ ბამზაჩემინამდი წელიწადში 90 კუბიკ. საჟ. ქვა—საჟ. 14 მან. და 36 ქვიშა, საჟ.—7 მან. 3) ბამზაჩემანი: ამ კარაკლისამდი ამავე ანგარიშით.

მესამე უჩასტკაში: დელიჟნიდამ ერევნამდი საჭიროა ყოველ წელიწადს 600 კუბიკური საჟენი სჩებენი და სამ წელს 1,800 საჟ, თითო საჟენი—14 მან. სულ 25,000 მანეთისა.

მსურველთა უნდა გამოგზავნონ განცხადება მთავარ სამმართველოს კანცელარიაში ამ წლის 5-ს სექტემბრამდინ.

# განცხადებანი

მასწავლებელი, რომელიც რამდენიმე წელიწადი ასწავლის რუსულს ენას, აიყვანს მოსამზადებლად, ძლიერ იაფ ფასათ, გიმნაზიის ოთხ კლასამდი გასავლელ რუსულ ენაში და სხვა საგნებშიდაც იმ ყმაწვილებს, რომლებიც გიმნაზიაში, ან სხვა სასწავლებლებში არიან და ვაკაციების დროს მომზადება ეჭირებათ, ან ეხლა სურთ მიიღონ სასწავლებელში.

ადრესი იკითხეთ: თფილისში, „დროების“ რედაკციაში, ყორღანოვის სახლებში, მოღნინის მოედანზე.

---

მსურს აეიყვანო მოსამზადებლად-გიმნაზიის პროგრამმის შესაფერ საგნებიდამ და ენებიდამ, ისეთი ყმაწვილები, რომელნიც ან ვაკაციების შემდეგ გიმნაზიაში შესვლას აპირებენ, ან გიმნაზიაში იმყოფებიან კიდეც და ან რომელთაც რომელიმე საგნიდამ, მომავალი ვაკაციების (კანიკ.) შემდეგ, ხელმეორეთ დასაჭერი ეგზამენია აქვთ გარდადებული. — უფრო დაწვრილებით პირობებზე მოლაპარაკება პირის-პირ შეიძლება.

ადრესი იკითხეთ: ქუთაისს, უფ. ან. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

---

უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში ისყიდება მეორე გამოცემა ქართულ-ფრანცუზულ ლექსიკონისა, რომელიც შედგენილია ივ. როტინიანცისაგან. ფასი ერთი აბაზი.

---

## თფილისის სამკურნალო
(4 აპრილის სახსოვრათ)

ერევნის მაედანზე, ჩიტახოვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, ზაფხულობით დილის 8 საათიდამ 10 მდი.

ორშაბათს: ექიმი ტელიაჭუსი — ქალისა და ყმაწვილების ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ოთხშაბათს: ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფ., მაკოვსკი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ბრაბოვსკი — ხირურგიული ავათმყოფ., ტელიაჭუსი — ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფ. და ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

შაბათს: ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. და მაკოვსკი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

---

დაიბეჭდა და ისყიდება

**თამარ საქართველოს ბატონიშვილი**

ისტორიული რომანი

გ. რჩეულოვისა.

თფილისში: მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და ენფიაჯიანცის წიგნის მაღაზიაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

---

უფ. ახვლედიანის და ვარლამოვის სარძეო სარდაფში, ისყიდება შემდეგი ნაწარმოები:

| | |
|---|---|
| კარაკი — გირვანქა — | 50 კაპ. |
| ნაღები— — — — — | 40 — |
| სმეტანა — — — — | 30 — |
| ყველი — — — — — | 15 — |
| ტვაროგი, ხაჭო— — — | 10 — |
| რძე— — — — — — | 5 — |
| მაწონი — — — — — | 5 — |

სარდაფი იმყოფება ერევნის მაედანზე, სემინარიის პირ-და-პირ, მანდენოვის სახლებში.

---

ვაცნობებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მე გავხსენი ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე, ზარაფოვის სახლების პირდაპირ

**ახალი საკაზმავი წიგნებისა**

და ვილებ საკაზმავად წიგნებს ჩვეულებრივს ფასზე უფრო იეფად.

ზ. ცომაია

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა. . . | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | 10 | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილნ. . | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | 3 | 27 | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 12 | 30 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 31 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 49 | 8 | 2 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ — ორშაბ. დილის 8 საათ.

სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს — სამშაბათს, ღამით.

ოდესას — კვირას, გათენებისას.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ:

საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) გორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

### ბირჟა

| პეტერბურგი, 28 ივლისს. | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $33^1/_8$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $351^3/_4$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 99 | 75 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 267 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 267 | — |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | | |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 88 | 50 |
| მოსკოვის (5%). . . . | 86 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 213 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 133 | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

### მაზანდა

| თფილისი, 5 აგვისტოს | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური შოთაგალის ფთ. | 1 | 15 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 4 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 4 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | 80 |
| — თარაქამისა ფთ. . | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 55 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 65 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | 40 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 6 | 80 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 19 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | — |
| ოქრო 1/2 იმპერიალი. . | 5 | 89 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Августа 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.